ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის

კომისიის სხდომა

ოქმი N 5

15 აპრილი, 2022 წელი

ხონის მუნიციპალიტეტის იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა

ოქმი N 5

ქ. ხონი

15 აპრილი, 2022 წელი

2022 წლის 15 აპრილს გაიმართა ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ მიქაძე. ესწრებოდნენ: მაკა ტაბიძე, გურამ ბახტაძე, ვახტანგ ვაჭარაძე, კობა კუბლაშვილი, ია სულუხია, რაულ ვაშაკიძე.
სხდომის თავმჯდომარემ კომისიას წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი:

1. "სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ".

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი: "სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ". კომისიას განსახილველად წარუდგინა სხდომის თავმჯდომარემ. საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ კომისიის წევრებს.

მსჯელობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი პროექტი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე - 7

წინააღმდეგი__0

გადაწყდა აღნიშნული საკითხი ჩაითვალოს სათანადოდ მომზადებულად და წარმოდგენილი სახით გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ზურაბ მიქაძე